# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

30 იანვარი, ოთხშაბათი, 1991 წ.
№ 16 (10 429) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

1 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყება ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში



საქართველოს თასის გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში

## შეთხელებული რიგებით

ჩვეულებრივ, ეს ასპარეზობა სპორტის ამ ვაჟკაცურ სახეობაში მთელ ჩვენ პოტენციურ შესაძლებლობებს ავლენს, რაც იმითაა განპირობებული, რომ შეჯიბრება წლის დასაწყისში იმართება და ძალთა შემოწმებისა და კარს მომდგარი სეზონისათვის მზადების ნათელ სურათს იძლევა. ამიტომაც არავინ გაურბის თასის გათამაშებას და ახალგაზრდებთან ერთად მასში სიამოვნებით ცდიან ძალებს ჩვენი აღიარებული ხუთჭიდელებიც: თვით გუნდურ პირველობაში მსოფლიო ჩემპიონი არმიელი ვახტანგ იაგორაშვილი და ამავე ტიტულის მფლობელი ახალგაზრდებს შორის შევარდენელი რევაზ ლოხიშვილი. ყოველივე ამის გამო შეჯიბრება საკმაოდ წარმომადგენლობითი გახლავთ. ამჯერად კი თასისათვის მებრძოლთა რიგები საკმაოდ შეთხელებულია და ამის მიზეზი ისაა, რომ რევაზ ლოხიშვილი და მისი თანაკლუბელი სპორტის ოსტატები იური შეტუხინი და ვიაჩესლავ მალიშევი პროფკავშირთა საკავშირო პირველობაზე რესპუბლიკის ღირსებას იცავენ. არც დინამოელი სპორტის ოსტატი ნოდარ შამოიანი და არმიელი გია ბერძენიშვილი ჩანან სარბიელზე, რის გამოც მონაწილეთა შემადგენლობა ახალგაზრდული გახლავთ. მას სერიოზულ გამოცდას უწყობენ გამოცდილი ხუთჭიდელები ალექსანდრე ბელოუსოვი, დავით დათიაშვილი (ორივე „დინამო“), ალექსანდრე ბასისტი, გიორგი გოქაძე (ორივე „შევარდენი“)...

ასპარეზობა ფარიკაობით დაიწყო, სადაც თავდაპირველად დაწინაურდა ახალგაზრდა დინამოელი იგორ პუტილცევი, რომელმაც ზედიზედ 19-ჯერ გაიმარჯვა, მაგრამ ბოლომდე ვერ შეინარჩუნა უპირატესობა. მას წამოეწია ა. ბელოუსოვი და პირველი დღის შემდეგ 1155 ქულით პირველ ადგილზე გავიდა. მეორე-მესამე ადგილებს 1062-1062 ქულით იყოფენ ბ. კაცებინი და ი. პუტილცევი.

**სურათზე:** საფარიკაო ბილიკზე არიან გ. გოქაძე და ი. პუტილცევი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



## ერთადერთი არ ყოფილა

გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ დონის როსტოვში გამართულ კლასიკურ მოჭიდავეთა ი. პოდუბნის სახელობის XXX ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში წარმატებით იასპარეზა ქუთაისელმა ათლეტმა გოგი კოღუაშვილმა, რომელმაც არავის დაუთმო პირველობა 90 კგ წონით კატეგორიაში.

ეს ქართველ მოჭიდავეთა ერთადერთი წარმატება არ ყოფილა. გუშინვე შევიტყვეთ, რომ ტურნირის ვერცხლის პრიზიორი გახდა ორი თბილისელი — ზაურ ივანიშვილი (100 კგ) და გელა პაპაშვილი (48 კგ).

### ინფორმაცია

უამინდობა რომ არა, გაცილებით მეტი მონაწილე შეიკრიბებოდა ტყიბულში გამართულ საქართველოს პირველობაზე სამბოში ახალგაზრდებს შორის (1971-1972 წლებში დაბადებულნი). მიუხედავად ამისა, ასპარეზობა საინტერესოდ ჩატარდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: **52 კგ.** გიორგი გოჩელაშვილმა (ქუთაისი), **57 კგ.** ზურაბ შულაიამ (ზუგდიდი), **62 კგ.** ალეკო კაპანაძემ (თერჯოლა), **68 კგ.** არჩილ ჩოხელმა (თბილისი), **74 კგ.** მამუკა ჯანანაშვილმა (კასპი), **82 კგ.** გია გაზდელიანმა (ლენტეხი), **90 კგ.** ჯონი ნაცვლიშვილმა (ქუთაისი), **100 კგ.** ივანე გამხიტაშვილმა (კასპი), **მძიმე:** გიორგი კუჭავამ (ფოთი).

### გუშინ...

გ. ეგნატაშვილის სახელობის კალათბურთის დარბაზში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქალთა გუნდმა საკავშირო პირველობის მატჩში უმასპინძლა ლვოვის „ლვოვგორსტროის“. ანგარიშით 82:69 (39:42) გაიმარჯვეს ქართველმა კალათბურთელებმა.

## თბილისის ტურნირის ლაურეატები

**თბილისის** საერთაშორისო ტურნირის ისტორია 1962 წლიდან იწყება. 1969 წლამდე პირველობა რვა წონით კატეგორიაში თამაშდებოდა, მერე კი ათში. ტურნირის პირველი ჩემპიონები წონით კატეგორიების მიხედვით იყვნენ: ზაურ შეყრილაძე (საქართველო), აიდინ იბრაჰიმოვი (აზერბაიჯანი), ვლადიმერ რუბაშვილი, ზარბეგ ბერიაშვილი, გურამ სალარაძე, შოთა ლომიძე (ყველა — საქართველო), აბელსენტ აიხანოვი (ალმა-ათა) და ალექსანდრე ივანიცკი (მოსკოვი).

მოგვიანებით ამ შეჯიბრებამ დიდი პოპულარობა მოიპოვა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთის მოჭიდავეთა შორის. ბევრ ათლეტს დიდი სპორტის საგზური სწორედ ამ ტურნირმა მისცა, ამიტომაც თბილისის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორთა შორის ხშირად შეხვდებით ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს.

გთავაზობთ ტურნირში გამარჯვებული ყველა მოჭიდავის სიას წონითი კატეგორიების მიხედვით. ამ სიით შეგიძლიათ დაადგინოთ, ვინ რამდენჯერ გაიმარჯვა ასპარეზობაში:

**48 კგ.** რ. დმიტრიევი (სსრ კავშირი) — 4-ჯერ, ს. კორნილაევი (სსრ კავშირი) — 3, რ. გაჯიევი (სსრ კავშირი) — 2, ლი ზე სიკი (კსდრ) — 2, ა. ბელოგლაზოვი, ა. სანოიანი, ს. კარამჩაკოვი, ა. დორჟუ, გ. მეჯლუმიანი (ყველა — სსრ კავშირი), ო. ველიკოვი, ხ. ისაევი (ორივე — ბულგარეთი), კ. სიგორუხი (იაპონია), მ. ბაზმოვარი (ირანი), ლი ხოფ სონი(კსდრ) ბ. ჩიოდოგჟამუ (მონღოლეთი) 1-1.

**52 კგ.** ს. ბელოგლაზოვი (სსრ კავშირი), — 5, ა. ივანოვი (სსრ კავშირი) — 4, ვ. ალექსეევი და ვ. თოგუზოვი (ორივე — სსრ კავშირი) — 3-3, ტ. ფაშაევი, ი. შუგაევი (ორივე — სსრ კავშირი), ზ. ტატუაშვილი (საქართველო), ა. ხეიდარი (ირანი) — 2-2, ზ. შეყრილაძე, ტ. ალიბეგაშვილი, თ. მიქელაძე (სამივე — საქართველო), რ. მამედოვი, მ. დაიბოვი, ბ. უმახანოვი (სამივე — სსრ კავშირი), ა. ხოდაბანდი, ხ. პურასტოლი, გ. ნამატოლი, მ. გორჰანი (ყველა — ირანი), დ. მილზი, დ. გონსალესი (ორივე — აშშ), და ვ. იორდანოვი (ბულგარეთი) — 1-1.

**57 კგ.** რ. კარაევი (სსრ კავშირი) — 5, ბ. იბრაჰიმოვი (სსრ კავშირი) — 3, გ. გოგიჩაიშვილი (საქართველო), ა. იბრაჰიმოვი, პ. მალიანი, ვ. იუმინი (სამივე — სსრ კავშირი) — 2-2, ი. ლეგაშვილი, რ. დობორჯგინიძე, დ. ბელთაძე (სამივე — საქართველო), ნ. მუშეღიანი, ა. ალიევი, ი. კულეშოვი, ა. აბდურამანოვი, გ. ბალდასაროვი (ყველა — სსრ კავშირი), დ. აბდულბაგერი (ირანი), დ. ბემი (აშშ), კიმ იონ სიკი (კსდრ) — 1-1.

**62 კგ.** ნ. ხოხაშვილი (საქართველო), — 4, ს. ქარსაულიძე, გ. ყვარელაშვილი, გ. მაკოევი (სამივე — საქართველო), ზ. აბდულბეკოვი, ბ. ბაზაევი, ს. ხატაგოვი, ხ. ისაევი (ყველა — სსრ კავშირი) — 2-2, ვ. რუბაშვილი, (საქართველო), ე. თედეევი, რ. პლიევი, ვ. გაჯიევი, ს. აბსაიდოვი, ა. ფარკუშინი, ს. სარქისოვი (ყველა — სსრ კავშირი), ე. დინევი, ი. ტოდოროვი (ორივე — ბულგარეთი) — 1-1.

**68 კგ.** ზ. ბერიაშვილი (საქართველო) — 5, გ. მაკასარაშვილი (საქართველო) — 4, ა. მაჰომედოვი (სსრ კავშირი) — 3, ი. გაიდარბეკოვი, ნ. პეტრენკო (ორივე — სსრ კავშირი) — 2-2, დ. გიგაური (საქართველო), ვ. კაზაკოვი, გ. იბრაჰიმოვი, პ. პინიგინი, მ. ხარაჩურა, ა. ფაძაევი, ვ. ვერხუშინი, მ. აბუშევი, ა. მუტალიბოვი (ყველა — სსრ კავშირი), ა. მოვახედი, ჯ. გოლიამი (ორივე — ირანი), დ. გეიბლი, ე. რაი, (ორივე — აშშ), დ. მარინოვი (ბულგარეთი), დ. სრეტერი (მონღოლეთი) — 1-1.

**74 კგ.** გ. სალარაძე (საქართველო) — 3, ტ. როსტომაშვილი (საქართველო), ი. შახმურადოვი, მ. აბდულმუსლიმოვი, ტ. მაჰომედოვი (სამივე — სსრ კავშირი), — 2-2, თ. ასლამაზიშვილი, რ. მარსაგიშვილი (ორივე — საქართველო), ნ. ჟურული, რ. აშურალიევი, ვ. არაცილოვი, ვ. ძუგუტოვი, ა. ვარაევი, გ. ხაზამოვი, ნ. გაჯიზანოვი, (ყველა — სსრ კავშირი), უ. შალასი, დ. შულცი, კ. მონდეი (სამივე — აშშ) — 1-1.

**82 კგ.** ლ. თედიაშვილი (საქართველო) — 5, ვ. მოდოსიანი, ი. ვოროზიოვი (ორივე — სსრკ) — 3, ა. ილურიძე (საქართველო), ხ. ზანგიევი, ო. ალექსეევი (ორივე — სსრ კავშირი) — 2-2, ლ. გადაიჩუკი, ვ. პოტაპენკო, ვ. ნოვოჟილოვი, ო. კალოევი, ლ. ჟაბრაილოვი, ა. ტამბოვცევი (ყველა — სსრ კავშირი), მ. დუგლასი (აშშ) — 1-1.

**90 კგ.** ა. ცხოვრებოვი (საქართველო) — 5, შ. ლომიძე (საქართველო), ს. ოჰანესიანი (სსრ კავშირი) — 4-4, შ. პაპაშვილი (საქართველო), ა. პროკოპჩუკი, მ. ხადარცევი (ორივე — სსრ კავშირი) — 2-2, ვ. მარნშანია (საქართველო), გ. სტრახოვი, ვ. ბატნია, ვ. ევლოევი, პ. ნანიევი, რ. ტიბილოვი, შ. აბდურაჰმანოვი, ვ. კაზიბეკოვი (ყველა — სსრ კავშირი), ბ. პეტერსონი, რ. ჰელიკოსნი (ორივე — აშშ) — 1-1.

**100 კგ.** ლ. ხაბელოვი (საქართველო), — 5, კ. ლიივა, ს. ხასიმიკოვი, მ. მაჰომედოვი (სამივე — სსრ კავშირი), — 3-3, ა. აიხანოვი, ვ. გულიუტკინი, ი. იარიგინი, ი. მატე (ყველა — სსრ კავშირი) — 2-2, ზ. ნიკურაძე, გ. ყურაშვილი (ორივე — საქართველო), ვ. კაკოშკინი (სსრ კავშირი), ა. აიკი (თურქეთი) — 1-1.

**130 კგ.** ბ. ბიგაევი (სსრ კავშირი) — 6, ნ. მოდებაძე (საქართველო) — 5, დ. გობეჯიშვილი (საქართველო) — 3, ა. ივანიცკი, ა. მედვედი, ს. ანდიევი, (სამივე — სსრ კავშირი) — 2-2, ე. გოცირიძე, ზ. თურმანიძე (ორივე — საქართველო), ვ. საუნინი, ვ. პარშუკოვი, ვ. ზანგიევი, ა. ხადარცევი, (ყველა — სსრ კავშირი), ვ. კოსტოვი (ბულგარეთი), ბ. ბაუმპარტნერი (აშშ), — 1-1.

### სპონსორები

ტურნირის სპონსორები არიან თბილისის № 3 სატაქსომოტორო საწარმოო გაერთიანება (დირექტორი — სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ზარიბეგ ბერიაშვილი) და ყვარლის რაიონის კომერციული საწარმო „ვაზის ცრემლები“ (დირექტორი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჭიდაობაში თამაზ კონჯოშვილი).

იხ. გვ. 2-3 გვ.

## მედლები და უკეთესი პერსპექტივა

**წარმატებით** იასპარეზეს სპორტსაზოგადოება „მართვეს“ აღსაზრდელებმა „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე, რომელსაც სულ ახლახან პენზამ უმასპინძლა. მონაწილენი, სხვადასხვა რესპუბლიკის საუკეთესო მძლეოსნები, ორ ასაკში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს პირველობას.

უმცროს ასაკში ოქროს მედალი მოიგო ბირთვის მკვრელმა ბესიკ ბუკიამ (მწვრთნელი — ყარამან საბანაშვილი), სიგრძეზე მხტომელმა კახა ფუტკარაძე მეორე იყო (მწვრთნელი ირაკლი გოზალიშვილი), ანდრეი ნაუმოვიც 3 კილომეტრზე მორბენლებში ვერცხლის მედალს დასჯერდა.

უფროსებში კიდევ ერთი ოქროს მედალი მოიპოვეს ჩვენმა მძლეოსნებმა და ისიც ბირთვის კვრაში: დავით ჯარაშნელმა (მწვრთნელი გივი ჩადუნელი) არავის დაუთმო პირველობა, ევგენი გიორგაძემ (მწვრთნელი ევგენი საფრონოვი) 60 მეტრზე თარჯრბენში მესამე ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ ე. გიორგაძე და ა. ნაუმოვი „შრომითი რეზერვების“ საკავშირო გუნდის ხელმძღვანელებმა შეიყვანეს ნაკრებში და თებერვლის დასაწყისში ისინი ვოლგოგრადში, საკავშირო პირველობაზეც იასპარეზებენ.

1 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყება ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

# ყველა გამარჯვებული

1962 — 1990

[illegible] ლეგული პირველობა 10 წონაში იმართება (დაემატა 48 და 82 კგ. წონები). გთავაზობთ ყველა ტურნირში გამარჯვებულ ათლეტთა ვინაობას:

**1962 წელი**
ზ. შეყრილაძე, ა. იბრაჰიმოვი, ვ. რუბაშვილი, ზ. ბერიაშვილი, გ. საღარაძე, შ. ლომიძე, ა. აიხანოვი, ა. ივანიცკი (ყველა — სსრ კავშირი).

**1963 წელი**
ა. ხოდაბანდი (ირანი), ა. იბრაჰიმოვი, ს. ქარსაულიძე, ზ. ბერიაშვილი, გ. საღარაძე, ა. ალბული, ა. აიხანოვი, ა. მედვედი (ყველა — სსრ კავშირი).

**1964 წელი**
ა. ხეიდარი (ირანი), დ. მუშეღიანი, ნ. ხოხაშვილი (ორივე — სსრკ), ა. მოვახედი (ირანი), გ. ცხოვრებოვი, შ. ლომიძე, კ. ლიივა, ა.ივანიცკი (ყველა — სსრკ).

**1965 წელი**
რ. მამედოვი, ა. ალიევი (ორივე— სსრკ), ე. დინევი (ბულგარეთი), ზ. ბერიაშვილი, გ. საღარაძე, ა. ცხოვრებოვი (სამივე — სსრკ), ა. აიკი (თურქეთი), ა. მედვედი (სსრკ).

**1966 წელი**
რ. პურასტოლი (ირანი), გ. გოგიჩაიშვილი, ს. ქარსაულიძე, ნ. ხოხაშვილი, ი. შახმურადოვი, ა. ცხოვრებოვი, კ. ლიივა (ყველა — სსრკ), ვ. კოსტოვი (ბულგარეთი).

**1967 წელი**
გ. ნამატოლი (ირანი), გ. გოგიჩაიშვილი, ე. თედეევი (ორივე — სსრკ), დ. მარინოვი (ბულგარეთი), თ. ასლამაზიშვილი, ა. ცხოვრებოვი, შ. ლომიძე, ვ. საუნინი (ყველა — სსრკ).

**1968 წელი**
ა. ხეიდარი (ირანი), პ. მალიანი (სსრკ), ი. ტოდოროვი (ბულგარეთი), დ. სრეტერი (მონღოლეთი), ი. შახმურადოვი, ა. ცხოვრებოვი, ვ. გულიუტკინი (სამივე — სსრკ), ვ. ვასილიევი (ბულგარეთი).

**1969 წელი**
რ. დმიტრიევი, ტ. ალიბეგაშვილი, პ.მალიანი, ზ. აბდულბეკოვი, ნ. ხოხაშვილი, ზ. ბერიაშვილი, ლ. გადაიჩუკი (ყველა — სსრკ), რ. პეტროვი (ბულგარეთი), შ. ლომიძე, ე. გოცირიძე (ორივე —სსრკ).

**1970 წელი**
რ. დმიტრიევი (სსრკ), მ. გორბანი, დ. აბდულბაგერი (ორივე — ირანი), ზ. აბდულბეკოვი, ნ. ხოხაშვილი, ნ. ქურული, ლ. თედიაშვილი, შ. პაპაშვილი, კ. ლიივა, ვ. პარშუკოვი (ყველა — სსრკ).

**1971 წელი**
ო. ველიკოვი (ბულგარეთი), ა. ივანოვი (სსრკ), დ. ბემი (აშშ), გ. ყვარელაშვილი, ვ. კაზაკოვი, რ. მარსაგიშვილი, ლ. თედიაშვილი, შ. პაპაშვილი, ი. იარიგინი, ნ. მოდებაძე (ყველა — სსრკ).

**1972 წელი**
რ. გაჯიევი, თ. მიქელაძე, ი. კულეშოვი, რ. პლიევი (ყველა — სსრკ), დ. გეიბლი (აშშ), ზ. ბერიაშვილი, ლ. თედიაშვილი, გ. სტრახოვი, ვ. კაკოშკინი, ნ. მოდებაძე (ყველა — სსრკ).



**1973 წელი**
პ. ისაევი (ბულგარეთი), ა. ივანოვი, ი. ლეგაშვილი, ვ. გაჯიევი, (სამივე — სსრკ), კ. გოლიამი (ირანი), რ. აშურალიევი, ა. ილურიძე (ორივე — სსრკ), ბ. პეტერსონი (აშშ), ვ. გულიუტკინი, ნ. მოდებაძე (ორივე — სსრკ).

**1974 წელი**
კ. სიგორუხი (იაპონია), ტ. ფაშაევი, რ. დობორჯგინიძე, გ. ყვარელაშვილი, გ. იბრაჰიმოვი, ვ. არაცილოვი, ა. ილურიძე, (ყველა — სსრკ), რ. ჰელიკსონი (აშშ), ნ. ნიკურაძე, ბ. ბიგაევი (ორივე — სსრკ).

**1975 წელი**
რ. გაჯიევი, ს. ბელოგლაზოვი, ვ. იუმინი, ბ. ბაზაევი, პ. პინიგინი, ტ. როსტომაშვილი, ვ. პოტაპენკო, ლ. თედიაშვილი, ს. ხასიმიკოვი, ბ. ბიგაევი (ყველა — სსრკ).

**1976 წელი**
რ. დმიტრიევი, ტ. ფაშაევი, ა. აბდურამანოვი, ბ. ბაზაევი, გ. მაკასარაშვილი (ყველა — სსრკ), უ. შალასი (აშშ), ვ. ნოვოჟილოვი, ვ. მარშანია, ი. იარიგინი, ნ. მოდებაძე (ყველა — სსრკ).

**1977 წელი**
ა. ბელოგლაზოვი, ვ. ალექსეევი, ა. ივანოვი, ვ. იუმინი, ი. გაიდარბეკოვი, ტ. როსტომაშვილი, ხ. ზანგიევი, ა. პროკოპჩუკი, ს. ხასიმიკოვი, ბ. ბიგაევი (ყველა — სსრკ).

**1978 წელი**
მ. ბაზმოვარი (ირანი), ა. ივანოვი, ბ. იბრაჰიმოვი, ს. ხატაგოვი, ი. გაიდარბეკოვი, მ. აბდულმუსლიმოვი, ხ. ზანგიევი, ვ. ბატნია, ლ. თედიაშვილი, ბ. ბიგაევი (ყველა — სსრკ).

**1979 წელი**
რ. დმიტრიევი, ი. შუგაევი, ს. ბელოგლაზოვი, ს. აბსაიდოვი, ნ. პეტრენკო. მ. აბდულ-მუსლიმოვი, ო. ალექსეევი, ა. პროკოპჩუკი, ი. მატე, ს. ანდიევი (ყველა — სსრკ).

**1980 წელი**
ს. კორნილაევი (სსრკ), დ. მილზი (აშშ), გ. ბაღდასარიანი, ს. ხატაგოვი, ნ. პეტრენკო, გ. მაკასარაშვილი, ო. კალოევი, ს. ოჰანესიანი, ი. მატე, ს. ანდიევი (ყველა — სსრკ).

**1981 წელი**
[illegible]

**1982 წელი**
[illegible] რაჰიმოვი, დ. გიგაური, ი. ვორობიოვი, ვ. მოდოსიანი, ვ. ევლოევი, მ. მაჰომედოვი, ბ. ბიგაევი, (ყველა — სსრკ).

**1983 წელი**
ს. კარამჩაკოვი (სსრკ), ვ. იორდანოვი (ბულგარეთი), რ. კარაევი, ა. ფარკუშინი (ორივე — სსრკ), ე. რაი (აშშ), ვ. მუგუტოვი, გ. მაკასარაშვილი, პ. ნანიევი, გ. ყურაშვილი, ბ. ბიგაევი (ყველა — სსრკ).

**1984 წელი**
ს. კორნილაევი, ზ. ტატუაშვილი, ს. ბელოგლაზოვი, ვ. ალექსეევი, ა. ფაძაევი, ტ. მაჰომადოვი, ვ. მოდოსიანი, რ. თიბილოვი, მ. მაჰომედოვი (ყველა — სსრკ), ბ. ბაუმჰარტნერი (აშშ).

**1985 წელი**
ა. დორჟუ, მ. დაიბოვი, რ. კარაევი, ვ. ალექსეევი, მ. აბუშევი, ტ. მაჰომადოვი, ვ. მოდოსიანი, მ. ხადარცევი, ლ. ხაბელოვი, კ. ზანგიევი (ყველა — სსრკ).

**1986 წელი**
ლი ზე სიკი (კსდრ), ვ. თოგუზოვი, რ. კარაევი, ზ. ისაევი, ა. მაჰომედოვი, ა. ვარაევი, ლ. ჟაბრაილოვი, მ. ხადარცევი, ლ. ხაბელოვი, დ. გობეჯიშვილი (ყველა — სსრკ).

**1987 წელი**
ლი ზე სიკი (კსდრ), ზ. ტატუაშვილი, რ. კარაევი, ზ. ისაევი, ა. მაჰომედოვი (ყველა — სსრკ), დ. შულცი (აშშ), ი. ვორობიოვი, ს. ოჰანესიანი, ლ. ხაბელოვი, ა. ხადარცევი (ყველა — სსრკ).

**1988 წელი**
გ. მეჯლუმიანი, ვ. თოგუზოვი, რ. კარაევი, ს. სარქისიანი, ა. მაჰომედოვი (ყველა — სსრკ), კ. მონდეი (აშშ), ა. ტამბოვცევი, შ. აბდურახმანოვი, ლ. ხაბელოვი, დ. გობეჯიშვილი (ყველა — სსრკ).

**1989 წელი**
ლი ხოკ სონი (კსდრ), ვ. თოგუზოვი (სსრკ), კიმ იონ სიკი (კსდრ), გ. მაკოევი, ა. მუტალიბოვი, გ. ხაზამოვი (სამივე — სსრკ), მ. დუგლასი (აშშ), ს. ოჰანესიანი, ზ. თურმანიძე (ორივე — სსრკ). 90 კგ. წონით კატეგორიაში ოქროს მედალი არ გათამაშდა.

**1990 წელი**
ბ. ჩიოდოგჟამო (მონღოლეთი), ბ. უმახანოვი, დ. ბელთაძე, გ. მაკოევი, ვ. ვერხუშინი, ნ. გაჯიხანოვი, ი. ვორობიოვი, ვ. კაზიბეკოვი, ლ. ხაბელოვი, დ. გობეჯიშვილი (ყველა — სსრკ).

## ოქროს მედლები

თბილისის საერთაშორისო ტურნირებში ოქროს მედლები მოპოვებული აქვთ ცხრა ქვეყნის წარმომადგენლებს. მათგან ყველაზე დიდ წარმატებას, ცხადია, საბჭოთა მოჭიდავეებმა მიაღწიეს, რომელთა წილად მოდის 163 ოქროს მედალი, მეორე ადგილზე არიან საქართველოს ათლეტები — 73 უმაღლესი ჯილდო.

| | |
|---|---|
| სსრ კავშირი | — 163 |
| საქართველო | — 73 |
| აშშ | — 1[illegible] |
| ირანი | — 1[illegible] |
| ბულგარეთი | — 7 |
| კსდრ | — 3 |
| მონღოლეთი | — 2 |
| იაპონია | — 1 |
| თურქეთი | — 1 |





## ზუსტად ერთი წლის წინ

**შარშანდელი** ტურნირი ორი ტრადიციული მეტოქის უპირატესობით აღინიშნა: საბჭოთა კავშირისა და საქართველოს გუნდების წარმომადგენლებმა ყველაზე ბევრი მედალი დაიმსახურეს. მაგრამ აქ ერთ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება: საბჭოთა ნაკრების ღირსებას გაცილებით მეტი მოჭიდავე იცავდა. აი, როგორ განაწილდა მედლები ქვეყნებს შორის:

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 5 | 6 | 2 |
| საქართველო | 4 | 2 | 5 |
| მონღოლეთი | 1 | — | — |
| ირანი | — | 1 | 1 |
| კსდრ | — | 1 | — |
| აშშ | — | — | 2 |

ტურნირის ირგვლივ თავისი მოსაზრებები გამოთქვეს წარსულში ცნობილმა მოჭიდავეებმა და ალბათ ღირს მათი გახსენება:

**ლევან თედიაშვილი (თბილისი, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი):** „ეს შეჯიბრება ჩვენთვის პირდაპირ აუწონავი ოქროა, თანაც, ყოველმხრივ სასარგებლო. ეწყობა სეზონის დასაწყისში და ჩვენს ბიჭებს საშუალება აქვთ აქვე, მშვიდად მოემზადონ ტურნირისათვის, და რაც მთავარია, საქართველოს ახალგაზრდა მოჭიდავეებს აქვთ შესანიშნავი საშუალება, თავი დაამახსოვრონ მაყურებლებსა და სპეციალისტებს...“

**დეივ შულცი (აშშ, ოლიმპიური ჩემპიონი):** „თბილისში ცხრაჯერ ვიჭიდავე და მხოლოდ ერთხელ გავიმარჯვე, მაგრამ თქვენს ქალაქში მუდამ სიამოვნებით ჩამოვდივარ. ტურნირიც საინტერესოა და მიღებაც მუდამ გულითადი. ახალგაზრდა მოჭიდავეებს ასეთი შეჯიბრება დიდ სარგებლობას მოუტანს“.

გთავაზობთ თბილისის ოცდამეცხრე საერთაშორისო ტურნირის პრიზიორთა სიას:

**48 კგ.** 1. ბატბადრაი ჩიოდოგჟამუ (მონღოლეთი), 2. ლი ხაგ სენი (კსდრ), 3. ტიმ ვენი (აშშ).
**52 კგ.** 1. ბაგავინ უმახანოვი (სსრკ), 2. ოვეისე მალო (ირანი), 3. მიხაილ კუშნირი (სსრკ).
**57 კგ.** 1. დავით ბელთაძე (საქართველო), 2. ოსმან ეფენდიევი, 3. აბულაზიზ აბაზოვი (ორივე — სსრკ).
**62 კგ.** 1. გოჩა მაკოევი (საქართველო), 2. არტურ მაინაგაშევი (სსრკ), 3. შამილ მაჰომედოვი (საქართველო).
**68 კგ.** 1. ვალერი ვერხუშინი (სსრკ), 2. გიორგი ხინჩიკაშვილი (საქართველო), 3. ალი ახბარიეჟო (ირანი).
**74 კგ.** 1. ნასირ გაჯიხანოვი, 2. საიდ მურთაზალიევი (ორივე — სსრკ), 3. დეივ შულცი (აშშ).
**82 კგ.** 1. იური ვორობიოვი, 2. აბდუსამად გამიდოვი (ორივე — სსრკ), 3. ვლადიმერ მოდოსიანი (საქართველო).
**90 კგ.** 1. ვაგიფ კაზიბეკოვი, 2. პიოტრ კრვალი (ორივე — სსრკ), 3. მამუკა რაზმაძე (საქართველო).
**100 კგ.** 1. ლერი ხაბელოვი საქართველო), 2. სანასარ ოჰანესიანი (სსრკ), 3. ზაზა ტყეშელაშვილი (საქართველო).
**მძიმე:** 1. დავით გობეჯიშვილი, 2. ზაზა თურმანიძე, 3. მერაბ ვალიევი (სამივე — საქართველო).

## 50 პრიზიორი

[illegible]

### ოლიმპიური თამაშები

**ოქრო**

დავით ციმაკურიძე — 1952
არსენ მეკოკიშვილი — 1952
მირიან ცალქალამანიძე — 1956
ლევან თედიაშვილი — 1972
ლევან თედიაშვილი — 1976
დავით გობეჯიშვილი — 1988

**ვერცხლი**

გურამ საღარაძე — 1960
გურამ საღარაძე — 1964
შოთა ლომიძე — 1968
ლერი ხაბელოვი — 1988

**ბრინჯაო**

ვახტანგ ბალავაძე — 1956
გიორგი სხირტლაძე — 1956
ვლადიმერ რუბაშვილი — 1960
ნოდარ ხოხაშვილი — 1964

### მსოფლიო ჩემპიონატები

**ოქრო**

ვახტანგ ბალავაძე — 1954
არსენ მეკოკიშვილი — 1954
ვახტანგ ბალავაძე — 1957
გიორგი სხირტლაძე — 1959
ვლადიმერ რუბაშვილი — 1961
გურამ საღარაძე — 1963
[illegible]
ლევან თედიაშვილი — 1971
შოთა ლომიძე — 1971
ლევან თედიაშვილი — 1973
ლევან თედიაშვილი — 1974
ლევან თედიაშვილი — 1975
ლერი ხაბელოვი — 1985
დავით გობეჯიშვილი — 1985
ლერი ხაბელოვი — 1987
ლერი ხაბელოვი — 1990
დავით გობეჯიშვილი — 1990

**ვერცხლი**

მირიან ცალქალამანიძე — 1957
გიორგი სხირტლაძე — 1957
ვახტანგ ბალავაძე — 1959
ზარიბეგ ბერიაშვილი — 1963
ზარიბეგ ბერიაშვილი — 1965
გურამ საღარაძე — 1966
ზარიბეგ ბერიაშვილი — 1967
გურამ საღარაძე — 1967
შოთა ლომიძე — 1967
ლევან თედიაშვილი — 1978
დავით გობეჯიშვილი — 1986

**ბრინჯაო**

მირიან ცალქალამანიძე — 1954
ნიკოლოზ მუზაშვილი — 1954
სერგო გაბარაევი — 1954
ვლადიმერ არსენიანი — 1959
ტარიელ ალიბეგაშვილი — 1969
ნოდარ ხოხაშვილი — 1969



საქართველოს მოჭიდავეებმა (თავისუფალი სტილი) 1990 წელს ოფიციალურ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში 20 ოქროს, 12 ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, აი ისინიც:

**მსოფლიო ჩემპიონატი**
6-9 სექტემბერი, ტოკიო
ლ. ხაბელოვი — I ადგილი
დ. გობეჯიშვილი — I ადგილი

**კეთილი ნების თამაშები**
27-29 ივლისი, აშშ
დ. გობეჯიშვილი — I ადგილი

**მსოფლიო ჩემპიონატი**
(1972-1973 წ. წ. დაბადებულნი)
27-30 აგვისტო, თურქეთი
ზ. ზოზიროვი — I ადგილი
ე. კურტანიძე — III ადგილი

**მსოფლიო ჩემპიონატი**
(1974-1975 წ. წ. დაბადებულნი)
18-20 აგვისტო, უნგრეთი
დ. პოლონსიანი — I ადგილი
ლ. კოხია — I ადგილი
ა. კახნიაშვილი — II ადგილი
ზ. ლოლაშვილი — II ადგილი

**მსოფლიო თასი ახალგაზრდებში**
18-20 აგვისტო, კანადა
გ. ივანიშვილი — I ადგილი
გ. სისაური — II ადგილი

**ევროპის პირველობა ახალგაზრდებში**
30 ივნისი — 2 ივლისი, ფინეთი
გ. ხინჩიგაშვილი — I ადგილი

**სსრკ ჩემპიონატი**
13-17ივნისი, ულან-უდე
ა. გოგოლიშვილი — I ადგილი
ზ. თურმანიძე — I ადგილი
ლ. ხაბელოვი — II ადგილი
დ. გობეჯიშვილი — III ადგილი

**სსრკ თასი**
2-6 ოქტომბერი, თბილისი
ლ. ებანოიძე — I ადგილი
ი. ყუშიტაშვილი — II ადგილი
შ. მაჰომედოვი — II ადგილი
ზ. ტყეშელაშვილი — II ადგილი
მ. ვალიევი — II ადგილი
ი. ჭკუასელი — III ადგილი
გ. სისაური — III ადგილი
გ. ივანიშვილი — III ადგილი

**სსრკ პირველობა**
(1970-1971 წ. წ. დაბადებულნი)
6-9 მარტი, ორჯონიკიძე
მ. ვალიევი — I ადგილი
გ. სისაური — II ადგილი
გ. ხინჩიგაშვილი — II ადგილი
გ. ივანიშვილი — III ადგილი
ე. კურტანიძე — III ადგილი
გ. უბილავა — III ადგილი

**სსრკ პირველობა**
(1972-1973 წ. წ. დაბადებულნი)
8-14 აპრილი, ლენინგრადი
ზ. ზოზიროვი — I ადგილი
ე. კურტანიძე — I ადგილი
ზ. გოგუა — II ადგილი
ი. ყუშიტაშვილი — III ადგილი
გ. ლევიძე — III ადგილი
ა. გზირიშვილი — III ადგილი

**მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა**
25-27 მაისი, თბილისი
მ. მხეიძე — I ადგილი
დ. პოლონსიანი — I ადგილი
გ. ხაბელაშვილი — I ადგილი
ა. კახნიაშვილი — I ადგილი
ლ. კოხია — I ადგილი
ზ. ლოლაშვილი — I ადგილი
გ. ტორჩინავა — II ადგილი
კ. შოშიტაშვილი — III ადგილი

## მესამე დიდი „კ“

ანუ „სულ ესაა [illegible] ოცნება“

[illegible] უკანასკნელ „რეიტინგ-ლისტში“ საკმაოდ მაღალი ადგილიც უკავია. თავის დროზე მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა მას დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა, ზოგმა კი „მესამე დიდი „კ“ უწოდა (ცხადია, კასპაროვისა და კარპოვის შემდეგ). შემდეგ მისი ზრდა რამდენადმე შეფერხდა, კასპაროვმა კი თავისი ადრინდელი შეფასება ნაადრევად ჩათვალა. ხმასაც წერდნენ: „კამსკი იმდენად კარგად არ თამაშობს, რამდენადაც ბედი სწყალობს“.

1988 წელს კამსკიმ და მამამისმა რუსტამმა (ისინი ეროვნებით ყირიმელი თათრები არიან) ნიუ-იორკის დიდი საერთაშორისო ტურნირის შემდეგ გადაწყვიტეს, საცხოვრებლად აშშ-ში დარჩენილიყვნენ. ამის მერე გატამ რამდენიმე მნიშვნელოვან შეჯიბრებაში გაიმარჯვა. შარშან, ივნისში მან ძალზე მარცხიანად ითამაშა ბაგიოს საზონათაშორისო ტურნირში, მაგრამ სექტემბერში პირველი ადგილი გაიყო ტილბურგის ზუპერტურნირში, სადაც, ტრადიციულად, 8 დიდოსტატი ასპარეზობს ორ წრედ.

ერთი სიტყვით, საჭადრაკო პრესაში გრძელდება კამათი კამსკის ნიჭისა და ნამდვილი შესაძლებლობების შესახებ. დიდი ყურადღება მიიპყრო ფრედ ვაიცკინის წერილმა „ნიუ-იორკ ტაიმ მეგეზინში“, რომლის ვრცელ ფრაგმენტებსაც დღეს გთავაზობთ. ფრედ ვაიცკინი ჟურნალისტი და ნიჭიერი ამერიკელი მოჭადრაკის მამაა. მას ეკუთვნის საინტერესო წიგნი „ფიშერის ძიებაში: ჭადრაკის სამყარო ვუნდერკინდის მამის თვალით“.

**პირველად** გატა კამსკის შევხვდი სამი წლის წინ ტიმიშოარაში (რუმინეთი), სადაც იგი მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატში 14 წლამდე ყმაწვილებს შორის.

— იგი ყველა დროის ყველაზე ნიჭიერი ვუნდერკინდია, — მითხრა რუმინელმა ჟურნალისტმა, რომელიც აღგზნებისაგან მთლიანად ცახცახებდა.

ტიმიშოარა სავსე იყო ვუნდერკინდების ჯგუფებითა და მათი კმაყოფილი მშობლებით, რომლებსაც გულით სწადდათ პირმშოთა მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვება. მშობელთაგან ერთ-ერთი მეც ვიყავი. ჩემი შვილი აშშ-ის წარმომადგენელი იყო შეჯიბრებაში 12 წლამდე ყმაწვილებს შორის.

სასტუმროს სასადილოში ნამდვილი ნაციონალისტური მეტოქეობის სუნი ტრიალებდა. თითოეული ქვეყნის მოჭადრაკეებს თავიანთი მაგიდა ჰქონდათ, მაგრამ გატა კამსკი და მამამისი რუსტამი სხვა რუს მოჭადრაკეთაგან განცალკევებით ისხდნენ. ისინი თვით წარმოადგენდნენ რაღაც საკუთარ ქვეყანას. გატა არასოდეს ერეოდა სხვა ბავშვებში, რომლებიც იქვე ახლოს, პარკში ფრენბურთს ან ფეხბურთს თამაშობდნენ და, ენობრივი სიძნელეების მიუხედავად, ყოველ საღამოს ერთსა და იმავე ადგილას იკრიბებოდნენ, ზოგიერთ ამერიკელთან რუსტამის იმ გასაუბრების გამოკლებით, როცა მან თავისი ქვეყნიდან გაქცევა ჩაიფიქრა, მამა-შვილი ყოველთვის მარტო იყო. რუსტამი ფიქრობდა, რომ მისი ვაჟი ტურნირს მოიგებდა და ნიუ-იორკის ღია ჩემპიონატში მიწვევას მიიღებდა, ამის შემდეგ კი ისინი ამ ქალაქში დარჩებოდნენ.

გატა ვერ იყო ჩვეულ ფორმაში. რუსტამი განუწყვეტლივ გაბრაზებით უყვიროდა მას.

— ჩვენ ყველანი ვხედავდით გატას სახის საშინელ გამომეტყველებას მას შემდეგ, რაც პარტია წააგო. — იგონებდა ამერიკელი მწვრთნელი, საერთაშორისო ოსტატი ვიქტორ ფრიასი. — მან იცოდა, რა ელოდა სახლში.

სასტუმრო „ინტერნაციონალში“ მოჭადრაკეებსა და მათ მშობლებს ესმოდათ, როგორ ანარცხებდა რუსტამი ავეჯს კედელზე, როგორ ტიროდა გატა. მან ვერ შეძლო ჩემპიონობის მოპოვება.

ამის მიუხედავად, 8 თვის შემდეგ გატა კამსკის სახელი მაინც გამოჩნდა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ პირველ გვერდზე. მას [illegible] ბრუნდებოდა და მამასთან ერთად საცხოვრებლად ნიუ-იორკში რჩებოდა. კამსკები დასახლდნენ საკმაოდ ღარიბულ ბინაში ბრუკლინში და მეთოდურად შეუტიეს ამერიკის საჭადრაკო ელიტას. გატა ზედიზედ მონაწილეობდა ამერიკულ ტურნირებში, სადაც გამარჯვებულთა შორის ხვდებოდა; ავლენდა თავის ნიჭსა და უნარს, ჩინებულ ცოდნას ამ რთული ინტელექტუალური თამაშისა, რომელსაც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ხელოვნებად თვლიან.

და აი, შარშან ოქტომბერში იგი მსოფლიო პირველობის შესარჩევ ამერიკულ ტურნირში მონაწილეობდა. სწორედ აქ შევხვდი მას. ამ შეჯიბრებაში, რომელიც „კარნეგიჰოლში“, მანჰეტენის საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობდა, მიწვეულნი იყვნენ სახელგანთქმული ამერიკელი მოჭადრაკეები. თავდაპირველად გატა არ მიუწვევიათ, რადგან მისი რეიტინგი — 2345— ასეთი რანგის შეჯიბრებისთვის მცირედ მიიჩნიეს. მაგრამ უკანასკნელ მომენტში, როცა ერთ-ერთმა მონაწილემ ვერ შეძლო თამაში, კამსკი დაუშვეს — მამამისმა ორგანიზატორებს სთხოვა, მის შვილისთვის შანსი მიეცათ.

მაყურებლებისა და მოჭადრაკეების გასაოცრად, ყმაწვილმა პირველ სამ წრეში მოუგო ავტორიტეტიან დიდოსტატებს, მათ შორის რომან ჯინჯიხაშვილსაც, რომელმაც 1989 წელს აშშ-ის ჩემპიონატში პირველი-მესამე ადგილები გაიყო და რომელიც ამერიკაში ყველაზე ნიჭიერ მოჭადრაკედ ითვლება. გარეშე მეთვალყურის თვალსაზრისით, კამსკის გამარჯვებებში რაღაც გარდუვალობის მომენტი იგრძნობოდა. ბრძოლებში უფრო გამობრძმედილი, უფრო მცოდნე ოპონენტები ფიგურებს მოცახცახე ხელებით აადგილებდნენ, აგებდნენ, თავს აქნევდნენ. სანამ გატა თამაშობდა, რუსტამი დარბაზის უკანა ნაწილში მიმოდიოდა ცხოვრების ათასგვარ განსაცდელს გამოვლილი ცნობილი მოკრივის სახით. იგი საბჭოთა კავშირში მართლაც მოკრივე იყო. ჯერ სევდა ეტყობოდა, შემდეგ კი გააფთრება. ყოველი მოგების შემდეგ იღიმებოდა.

მეოთხე, ფინალურ წრეში, 15 წლის ბიჭი, გაცვეთილი ჯინსით და მოგრძო სვიტერით, მოკლედ შეჭრილი თმებით, როგორც ეს აღმოსავლეთ ევროპელ მოსწავლეებს აქვთ, ინგლისური ენის საკმაოდ ცუდად მცოდნე, შეხვდა 35 წლის ალექსანდრე ივანოვს, ასევე რუსეთში დაბადებულს. გატას გამარჯვების შემდეგ, ტაში არავის დაუკრავს, არც სიამოვნებისგან დაუსტვენია ვინმეს, წინაც არავინ გაჭრილა, რათა ნორჩი გამარჯვებულისთვის მიელოცა. ამაზე შემდეგ მსოფლიოს ყველა საჭადრაკო გამოცემა დაწერს.

მეზობელ ოთახში ოსტატები საუბრობდნენ.

— იგი არც ისე კარგად თამაშობს, უბრალოდ, ბედი სწყალობს — თქვა ერთმა ამერიკელმა ოსტატმა.

— მე მძაგს რუსები — თქვა მეორემ.

ჩვენს ქვეყანაში ტურნირები უმთავრესად კორპორაციული სპონსორების გარეშე ეწყობა და ამიტომაც პრიზები უმნიშვნელოა: გამარჯვებული რამდენიმე ასეულ დოლარზე მეტს არ იღებს. ჩვენი უძლიერესი მოჭადრაკეები, მცირე გამონაკლისის გარდა, ღარიბი ხალხია, — იმისათვის, რომ ცხოვრების სახსარი მოიპოვონ, იძულებულნი არიან, არასაჭადრაკო საქმიანობას მოჰკიდონ ხელი. მათ ის აბრაზებთ, რომ აღმოსავლეთ ევროპის მოჭადრაკეები მდიდრები არიან. ჭადრაკში კარგად გარკვეული მრავალი გულშემატკივარი აღტაცებას გამოთქვამს ამ დიდოსტატების თამაშით; მათ კულტურის გამოჩენილ წარმომადგენლებად, გმირებად თვლიან.

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ამერიკაში დაბადებულ მოჭადრაკეებს პრობლემები „დაუმძიმეს“ ჩინებულად მომზადებულმა საბჭოთა ოსტატებმა, რომლებიც პოლიტიკური ემიგრანტები გახდნენ და ხშირად გულუბრყვილოდ ფიქრობდნენ, რომ ამერიკის სიმდიდრე მოჭადრაკეებზეც ვრცე[illegible] ილს ეუფლებიან. საჭადრაკო სამყაროში გავრცელდა ხუმრობა, რომ საერთაშორისო ტურნირებში ჩვენი რუსები მათ რუსებს ეჯიბრებიან.

— მე მშურს იმ დიდი ყურადღებისა, გატა კამსკის მიმართ რომ იჩენენ, მშურს იმ ფულისა, იგი რომ იღებს — გამოტყდა საერთაშორისო ოსტატი, 22 წლის პატრიკ ვოლფი, რომელიც მანჰეტენის ტურნირს მესამე წრიდან გამოეთიშა — ეს მე მაღიზიანებს. ამერიკაში კამსკის მეტი პერსპექტივა აქვს, ვიდრე იმ ამერიკელ მოჭადრაკეებს, რომლებიც მას ნიჭით არ ჩამოუვარდებიან.

— მე მესმის, თუ რატომ არიან აღშფოთებულნი ამერიკელი პროფესიონალები — ამბობს ალენ კაუფმანი, ამერიკის საჭადრაკო ფონდის დირექტორი, — ჩვენ ჭადრაკის პროპაგანდისათვის წელიწადში 300 000-400 000 დოლარს ვიმეტებთ, ეს კი ერთ პროცენტზე ნაკლებია იმასთან შედარებით, რაც საბჭოთა კავშირში ჭადრაკისთვის იხარჯება.

ამერიკელი მოჭადრაკეები ხშირად აკრიტიკებენ კაუფმანს, რომ იგი უპირატესობას ანიჭებს რუს ლტოლვილებს, იმისათვის, რომ დროებითი სტიპენდია დაუნიშნა ორ გამოჩენილ საბჭოთა ოსტატს — დიდოსტატ ბორის გულკოსა და, სულ ახლახან გატა კამსკის.

— აქაურები ხშირად ბრაზობენ. — აღნიშნა კაუფმანმა — როცა სრულიად მოულოდნელად ჩამოდის უცხოელი, რეიტინგი შედარებით მცირე აქვს, მაგრამ მრავალ ასეულ თუ ათას დოლარს იღებს. მაგრამ მე ყველაფერზე პასუხს ვაგებ, წინ ვიხედები: ამიტომაც ვთვლი, რომ კამსკი გააძლიერებს ამერიკულ ჭადრაკს.

თუკი კაუფმანს მართლაც გაუმართლებს და კამსკი მსოფლიო ჩემპიონი გახდება, ეს ამერიკულ ჭადრაკს ოქროს ზოდებს მოუტანს. ჯეიმს კეინი, საინვესტიციო-საბანკო ფირმა „ბეიერის“ პრეზიდენტი, იზიარებს ამ იმედებს და კამსკის წლიურად 30 ათას დოლარს აძლევს.

კამსკები ბრაიტონ-ბიჩში, ბრუკლინის რაიონში, სამოთახიან ბინაში ცხოვრობენ. როცა მათთან მივედი, საშუალება მქონდა გატასთან მარტო მელაპარაკა, სანამ მამამისი მოვიდოდა. სქელშუშა სათვალიანი გატა ორი დიდოსტატის პარტიას არჩევდა.

შევეკითხე, ფიქრობდა თუ არა როდისმე დედაზე, რომელმაც ოჯახი დასტოვა, როცა გატა სულ პატარა იყო.

— არა, მიპასუხა ისე, საჭადრაკო დაფიდან თავი არ აუწევია.

მე დავინტერესდი, ჰყავდა თუ არა მეგობრები მეზობელ ბიჭებს შორის.

გატამ მითხრა, რომ ბიჭებს მისი შურდათ და, ცხადია, მას მეგობარი არასოდეს ჰყოლია.

მე დამაინტერესა იმან, რით იყო მისი ცხოვრება ბედნიერი, რაზე ოცნებობდა იგი. გატამ არც ისე გამართული ინგლისურით მიპასუხა: „მე ჭადრაკზე ვოცნებობ“.

როცა გატა ტურნირიდან ტურნირზე არ მოგზაურობს, იგი თავის ოთახში 14 საათს ატარებს: ჭადრაკს სწავლობს წიგნებით ან თავისი კომპიუტერის მეშვეობით. მისი საწვრთნელი რეჟიმის სპეციფიკა საიდუმლოებით არის მოცული, არასოდეს უყურებს ტელევიზორს, არაფერს კითხულობს, საჭადრაკო ლიტერატურის გარდა. იგი, სხვა ბიჭების მსგავსად, სპორტულ თამაშებს არ მისდევს, მაგრამ საღამოობით 35 წუთის განმავლობაში დარბის. როგორც მამამისი ამბობს, ეს ძალიან სასარგებლოა გამძლეობისთვის. სკოლაში არ დადის. მას საბჭოთა განათლება აქვს, 13 წლის ყმაწვილების ეკვივალენტური, როგორც რუსტამი ამბობს. ეტყობა, გატას სურს მიიღოს ამერიკული განათლება, მაგრამ, მისი აზრით, მამა ამის უფლებას არ მისცემს.

გატას გაეცინა.

— რა იყო?

— ეს სასაცილოა — თქვა მან და ენდშპილზე მიმითითა.

(გაგრძელება იქნება)

# „უცხო“, „მოულოდნელ“ ტრასაზე

**როგორც** ვიუწყებოდით, მსოფლიო ჩემპიონატი საციგაო სპორტში, რომელიც ლატვიის ქალაქ სიგულდაში უნდა ჩატარებულიყო, ბალტიისპირეთში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით გადაიტანეს გერმანიის ქ. ვინტერბერგში და იქ გაიმართა 22-27 იანვარს.

ჩემპიონატში მონაწილეობდნენ საქართველოს წარმომადგენლები — კახაბერ ვახტანგიშვილი და ლევან თიბილოვი. ორადგილიანი ციგებით მოასპარეზე 28 ეკიპაჟს შორის ჩვენმა წყვილმა მხოლოდ მე-13 ადგილი დაიკავა. ეს ცნობა ჩვენს კორესპონდენტს მიაწოდა თავად ლევან თიბილოვმა ტელეფონით საუბრისას. მან დასძინა, რომ ასეთი ცუდი შედეგი განაპირობა იმან, რომ სპორტსმენებს ადგილზე ჩასვლის მეორე დღესვე მოუხდათ „უცხო“ ტრასაზე გამოსვლა, სხვა გუნდები კი ორი კვირით ადრე ესტუმრნენ ვინტერბერგს.

ბრწყინვალედ იასპარეზეს მასპინძლებმა, გერმანელმა მოციგავეებმა — მათ არავის დაუთმეს ოქროსა და ვერცხლის მედლები; მესამე ადგილზე იტალიელი სპორტსმენები გავიდნენ.

კ. ვახტანგიშვილის და ლ. თიბილოვის ეკიპაჟი ერთადერთი იყო საბჭოთა კავშირიდან, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზა.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**ესპანეთის** ჩემპიონატში ერთმანეთს ხვდებოდნენ მადრიდის „ატლეტიკო“ და „ვალენსია“. თამაში სერიოზული ექსცესებით აღინიშნა, მატჩის არბიტრი რ. გარსია იძულებული იყო 9 ფეხბურთელისთვის ყვითელი ბარათი ეჩვენებინა და ორი მინდვრიდან გაეძევებინა. შეხვედრა მოიგეს მადრიდელებმა — 2:0, ბურთები გაიტანეს სანჩესმა და როდაქსმა.

თამაშის მსვლელობაში „ვალენსიის“ ფეხბურთელები დაუფარავად ნადირობდნენ „ატლეტიკოში“ მოთამაშე გერმანელ ბ. შუსტერზე. „ატლეტიკოს“ შეტევის ლიდერის წინააღმდეგ აშკარად უხეში თამაშისთვის მსაჯმა მეორე ტაიმში ორი წუთის განმავლობაში ზედიზედ გააძევა მინდვრიდან ჯერ ნახევარმცველი გონსალესი, შემდეგ კი თავდამსხმელი ოლაიე. დააჯარიმეს თვით ბ. შუსტერიც, რომელმაც თავი ვერ შეიკავა და უხეშად უპასუხა მეტოქეს.



**იტალიის** ცნობილი საფეხბურთო კლუბის „ნაპოლის“ პრეზიდენტს კორადო ფერლაინოს ხუთი თვით აეკრძალა თავისი გუნდის თამაშებზე დასწრება.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო მას შემდეგ, რაც კ. ფერლაინომ დაუშვებელი, უხეში ფორმით დააკრიტიკა [illegible] „ნაპოლი“ — [illegible] მატჩის არბიტრი [illegible] „ნაპოლიმ“ წააგო [illegible] (0:1).

კ. ფერლაინომ [illegible] მარტო მსაჯს. — არბიტრი ჩვენს მეტოქეს უჭერდა მხარს, ფედერაციამ კი, რომელიც ჩრდილოეთ იტალიის კლუბებს ქომაგობს, სპეციალურად დანიშნა იგი ამ მატჩის გამგებლად. — თქვა მან.

ამ სასჯელის გარდა, „ნაპოლი“ ჯარიმის სახით გადაიხდის 45 ათას დოლარს.

**საბჭოთა** კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა 1991 წლის შეჯიბრებათა დებულება. უმაღლეს ლიგაში მონაწილეობას მიიღებს 16 კლუბი. გათამაშება დაიწყება 10 მარტს და დამთავრდება 2 ნოემბერს. I ლიგაში გამოვა 22 გუნდი. შეჯიბრება გაიმართება 5 აპრილიდან 8 ნოემბრამდე.

# რ. ჰელმმა ავსტრია აირჩია

გერმანიის გაერთიანების შემდეგ, ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მრავალი სპორტული სპეციალისტი უმუშევარი დარჩა. ამიტომაც, ზოგიერთი მათგანი სამუშაოს საძებნელად უცხოეთის ქვეყნებში მიეშურება. ასე მოიქცა ნიჩბოსნობაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი რუდიგერ ჰელმი.

როგორც გაზეთები იუწყებიან, რ. ჰელმი მუშაობას შეუდგა ავსტრიის ნიჩბოსნობის ფედერაციის სკოლის დირექტორად. მან ხელი მოაწერა კონტრაქტს, რომელიც ბარსელონის ოლიმპიური თამაშების დამთავრებამდე გაგრძელდება. რ. ჰელმი მოამზადებს ავსტრიის საუკეთესო ნიჩბოსნებს და, გარდა ამისა, იმუშავებს ადგილობრივ პერსპექტიულ მოზარდებთან.

## ინფორმაცია

**ლილი.** „გრან პრის“ პროგრამით გათვალისწინებული კროსმენთა შეჯიბრება ჩრდილოეთ საფრანგეთის ამ ქალაქის გარეუბანში ჩატარდა. ვაჟთა შორის გაიმარჯვა ინგლისელმა სტაიერმა ჯონ ნეტელმა, რომელმაც 9,7 კილომეტრი 29.41-ში გაირბინა. ქალებში უძლიერესი იყო ამერიკელი ლინ ჯენინგსი. 4,6 კილომეტრიან დისტანციაზე მისი შედეგია 15 წუთი და 20 წამი.

# სტატისტიკა მეტ სიზუსტეს საჭიროებს

**საფეხბურთო** სტატისტიკამ ბოლო ხანებში მთელს მსოფლიოში მკვიდრად მოიკიდა ფეხი. ყოველ დიდ შეჯიბრებას, რომელიც საერთაშორისო თუ ეროვნული მასშტაბით იმართება, თან სდევს ხოლმე სპეციალისტთა სტატისტიკური გამოანგარიშებანი; გულშემატკივრებიც ყურადღებით ადევნებენ თვალს შესაბამის მასალას, ბომბარდირთა შედეგებს, გუნდების საერთო მაჩვენებლებს, მაყურებელთა რაოდენობას. მათ ყველაფერი აინტერესებთ — სად რა მოხდა, ვინ არის საუკეთესოთა შორის საუკეთესო; დგება საფეხბურთო რეკორდსმენთა სიები, ყალიბდება სხვადასხვა დასახელების კლუბები და ა. შ. ყველაფერი ეს მართლაც, დიდად საინტერესოა.

სტატისტიკოსები არიან ჩვენშიც. ისინი ჩაჰკირკიტებენ განვლილ შეჯიბრებათა ოქმებს, მათი საშუალებით გამოჰყავთ საინტერესო ციფრები. შეჯიბრების ოქმები უმთავრესი უტყუარი მასალაა, რომელთა მიხედვით შესაძლებელია მკითხველისთვის ზუსტი სტატისტიკური ცნობების მიწოდება.

სულ ახლახან გაზეთებში „ლელოსა“ და „სარბიელში“ გამოქვეყნდა საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის სტატისტიკური გამოანგარიშებანი და, სულაც არაა საჭირო იყო ამ საქმის დიდი სპეციალისტი, რომ წამსვე შეამჩნიო ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს ამ ორ გაზეთში გამოქვეყნებულ მასალებს შორის. მაგალითად, ჩვენი გაზეთი იტყობინება, რომ ჩემპიონატში ჩატარდა 612 მატჩი, რომელთაგან სტუმრებს და მასპინძლებსაც თანაბარი რაოდენობის გამარჯვებები მოუპოვებიათ, ხამოცდილი სტატისტიკოსი რევაზ შენგელია კი „სარბიელში“ იუწყება, რომ ჩემპიონატში დაგეგმილი 306 მატჩიდან ჩატარდა მხოლოდ 295.

„ლელო“ იტყობინება, რომ 1990 წლის საქართველოს პირველობაზე სულ გავიდა 1764 გოლი, ხოლო „სარბიელი“ გვამცნობს, რომ გატანილი ბურთების რაოდენობა 849-ს უდრის.

შემდგომში მოდის სხვა უფრო დაწვრილებითი სტატისტიკური გამოანგარიშებანი და აქ განსხვავებები კიდევ უფრო მეტია. ცხადია, რომ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ მასალას აშკარად აკლია სიზუსტე.

საფეხბურთო ჩემპიონატის სტატისტიკურ გამოანგარიშებას დიდი ყურადღება და რუდუნებით მიდგომა ესაჭიროება, მით უმეტეს, როცა ლაპარაკია პირველ ჩემპიონატზე, რომელიც ყველასთვის ამოსავალ წერტილად უნდა იქცეს. „ლელოში“ დაშვებული შეცდომები ავტორის გამოუცდელობისა და იმ თანამშრომლის უყურადღებობის შედეგია, რომელსაც ევალებოდა მოყვანილი ციფრების შემოწმება და გაკონტროლება. რედაქცია ბოდიშს უხდის მკითხველებს დაშვებული უზუსტობისთვის.

**რედაქტორის მოადგილე**
**თამაზ მიგრიაული**

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტო“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1991 წლის მესამე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.273.272 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია და ამიტომ ამ ჯგუფისთვის განკუთვნილი მოსაგები ფონდი 9.226 მანეთის ოდენობით დაემატება მეოთხე ტირაჟის პირველი ჯგუფის მოსაგებ ფონდს. 5 ნომრის გამოცნობისთვის (15) მოგება 5.586 მანეთია, ოთხისთვის (1.240)—173, სამისთვის (1.304) —3. (სამი ნომრის გამოცნობისთვის მოგებას მიიღებენ მხოლოდ მე-9 ტირაჟის ჩათვლით მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთები).

საქართველოში: დაშვებულია 25.524 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—15, 3—16.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 16.916.418 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (28) მოგება 18.124 მანეთია, ოთხისთვის (5.782)—154, სამისთვის (189.533) — 6.

საქართველოში: დაშვებულია 408.159 ვარიანტი 5—2 (თბილისი, ოზურგეთი), 4—134, 3—4.067.

მესამე და მეოთხე ტირაჟის ჩათვლით მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 9 თებერვლიდან 9 მარტის ჩათვლით. მეოთხე ტირაჟში ლატარია „6 45“-დან პირველი ჯგუფის მოსაგებ ფონდს დაემატა 22.097 მანეთი.

## „სპორტპროგნოზი“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ „C-13“ სპეციალური ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 728.625 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (1) მოგება 10.000 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (5) —4.371 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (88) — 879 მანეთი.

საქართველოში არც ერთი მოგება არ ყოფილა.

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ მე-3 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2.560.294 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (7) მოგება 6.096 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (189) —451 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (3.859) — 77 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 114.332 ვარიანტი 13—0, 12—5, 11—178.

„C-13“ და მე-3 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 9 თებერვლიდან 9 მარტის ჩათვლით.

### მე-4 ტირაჟის შედეგები

**(26-27 იანვარი)**

1—1, 2—1, 3—1, 4—2, 5—1, 6—2, 7—1, 8—X, 9—X, 10—2, 11—1, 12—1, 13—2.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

## „სპორტპროგნოზი“, მე-6 ტირაჟის პროგრამა (8-10 თებერვალი)

| | | პროგნოზი | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **სსრკ ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)** | | | | | |
| 1. „საიანი“ (აბაკანი) — „დინამო“ (მოსკოვი) | 8.II | 10 | 60 | 30 | 2 |
| 2. „კუზბასი“ (კემეროვო) — „ზორკი“ (კრასნოგორსკი) | 8.II | 10 | 60 | 30 | X |
| 3. „სიბსელმაში“ (ნოვოსიბირსკი) — „ვოდნიკი“ (არხანგელსკი) | 8.II | 20 | 70 | 10 | 2 |
| **სსრკ ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (გადასასვლელი ტურნირი)** | | | | | |
| 4. ასკ (ლენინგრადი) — „ტრაქტორი“ (ჩელიაბინსკი) | 9.II | 10 | 80 | 10 | X |
| 5. „კრისტალი“ ((ელექტროსტალი) — „ავტომობილისტი“ (ყარაგანდა) | 9.II | 20 | 70 | 10 | X |
| 6. „კრისტალი“ (სარატოვი) — „ავანგარდი“ (ომსკი) | 9.II | 40 | 50 | 10 | 2 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში (ვაჟები, უმაღლესი ლიგა)** | | | | | |
| 7. ასკ (კიევი) — ასკ (მინსკი) | 9.II | 30 | 60 | 10 | X |
| **იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | | |
| 8. „ფიორენტინა“ (ფლორენცია) — „მილანი“ (მილანი) | 10.II | 20 | 70 | 10 | X |
| 9. „ბოლონია“ (ბოლონია) — „სამპდორია“ (გენუა) | 10.II | 20 | 60 | 20 | X |
| 10. „ინტერი“ (მილანი) — „ტორინო“ (ტურინი) | 10.II | 40 | 50 | 10 | X |
| **ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | | |
| 11. „სევილია“ (სევილია) — „ესპანიოლი“ (ბარსელონა) | 10.II | 30 | 60 | 10 | 1 |
| 12. „მალიორკა“ (მალიორკა) — „რეალი“ (მადრიდი) | 10.II | 10 | 60 | 30 | 1 |
| 13. „სარაგოსა“ (სარაგოსა) — „რვიედო“ (ოვიედო) | 10.II | 30 | 60 | 10 | X |


# ქართული ჭიდაობის სრული აღორძინებისათვის



**საქართველოს** ჭიდაობის რესპუბლიკური გაერთიანების თაოსნობით კიდევ ერთ სასიკეთო საქმეს ჩაეყარა საფუძველი. 1 თებერვლიდან მუშაობას იწყებს ქართული ჭიდაობის შემსწავლელი ჯგუფები კვალიფიციური მწვრთნელის, საქართველოს ფალავნის — გივი კახაბრიშვილის ხელმძღვანელობით. მეცადინეობები ჩატარდება ფალავანთა კლუბში.

მსურველებს დაწვრილებითი ცნობებისათვის შეუძლიათ მიმართონ: ი. ჭავჭავაძის გამზირი № 49-ა. ფალავანთა კლუბი (ტელეფონი: 29-28-70).

**ჭიდაობის რესპუბლიკური. გაერთიანება**


„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა უ. ჰიჰინაძე, კორექტორები ც. ჩიტიშვილი და ქ. ქავთარაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20